

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

ბიზნეს უწყვეტობის მართვის პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს შპს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ (შემდგომში – „ფონდი“) ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკას და განსაზღვრავს ორგანიზაციულ, სამართლებრივ და პროცედურულ ჩარჩოს ფონდის საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.
- 1.2. პოლიტიკა შემუშავებულია ფონდის „ბიზნესის უწყვეტობის გეგმის“ საფუძველზე და წარმოადგენს მის შესრულებისა და აღსრულების მარეგულირებელ დოკუმენტს.
- 1.3. დოკუმენტი ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

- 2.1. პოლიტიკის მიზანია ფონდის საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე რისკების მართვა, მათი პრევენცია და მინიმიზაცია.
- 2.2. პოლიტიკის ამოცანებია:
ორგანიზაციული და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
კრიზისულ სიტუაციებში პროცესების სწრაფი აღდგენის გარანტია;
დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო პარტნიორები, ინვესტორები, თანამშრომლები) ინტერესების დაცვა;
სამართლებრივი, სოციალური და გარემოსდაცვითი ვალდებულებების სათანადო შესრულება.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა

- 3.1. ფონდის დირექტორი არის ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკის დამტკიცებისა და აღსრულების უმაღლესი პასუხისმგებელი პირი.
- 3.2. ბიზნესის უწყვეტობის კოორდინატორი (დელეგირებული მენეჯერი) უზრუნველყოფს პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას, პერიოდულ გადახედვასა და განახლებას.
- 3.3. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და საჭირო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება თავიანთ ერთეულებში.
- 3.4. შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს პოლიტიკის შესრულების კონტროლს და პერიოდულ ანგარიშგებას.

მუხლი 4. დოკუმენტის დამტკიცება და გადახედვა

- 4.1. პოლიტიკა დამტკიცდება ფონდის დირექტორის ბრძანებით.
- 4.2. პოლიტიკის გადახედვა და განახლება ხორციელდება არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ, ან დაუყოვნებლივ – საკანონმდებლო, სტრუქტურული ან ტექნოლოგიური გარემოს ცვლილების შემთხვევაში.
- 4.3. ყველა ცვლილება ფიქსირდება დანართში – „დოკუმენტის ცვლილებების რეესტრი“.

მუხლი 5. პროცესის ეტაპები

- ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესი მოიცავს:
- რისკების იდენტიფიცირებას – ფონდის ყველა სტრუქტურულ ერთეულში;
 - რისკების შეფასებას – ალბათობისა და ზეგავლენის ანალიზით;

რისკების შემცირებას – პრევენციული და კორექტიული ღონისძიებების გატარებით;
რისკების კომუნიკაციასა და მონიტორინგს – ინფორმაციის დროული გაცვლით, აუდიტით და ანგარიშგებით.

მუხლი 6. ანგარიშგება და მონიტორინგი

6.1. ბიზნესის უწყვეტობის ანგარიშგება წარმოედგინება დირექტორსა და ფონდის მმართველ ორგანოებს ყოველწლიურად.

6.2. კრიზისულ სიტუაციაში ანგარიშგება ხორციელდება დაუყოვნებლივ – სპეციალური მოხსენების ფორმით.

6.3. მონიტორინგი მოიცავს:

მიღებული ზომების ეფექტიანობის შეფასებას;

რისკების მართვის სისტემის აუდიტს;

სწავლებებისა და პრაქტიკული ვარჯიშების ჩატარებას თანამშრომლებისთვის.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა დარღვევებზე

7.1. პოლიტიკის მოთხოვნების შეუსრულებლობა განიხილება როგორც სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევა.

7.2. ასეთი დარღვევა იწვევს დისციპლინურ ან სხვა სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.